საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1708

2021 წლის 24 სექტემბერი

ქ. თბილისი

„კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული №1 დანართის („კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხა და ჩატარების წესი“):

ა) პირველი პუნქტის „ს^{1}“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს^{2}“ ქვეპუნქტი:

„ს^{2}) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ რეგისტრირებული საერთაშორისო/ადგილობრივი დამკვირვებლები, საარჩევნო სუბიექტებისა/პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლები;“;

ბ) 4^{5} პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^{6} პუნქტი:

„4^{6}. ამ წესის პირველი პუნქტის „ს^{2}“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები ტესტირებას ექვემდებარებიან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჭიროებისა და მოთხოვნის შესაბამისად.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**